დამტკიცებულია

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის
კოლეჯის დირექტორის 2026 წლის 30
აპრილის № 108 ბრძანებით

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება

პროგრამის ხელმძღვანელი: **მარიამ გაგოშაშვილი**

საკონტაქტო ინფორმაცია: T: 0322 20 54 24

e-mail: info.rtc2016@gmail.com

თბილისი

2026წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) -** აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება / Survey-Topography

2. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა:** 07319-3

3. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე -** საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში / Secondary Vocational Qualification in Topography

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება (კოდი 0731) აღმწერი - „შეისწავლის შენობის/ნაგებობის პროექტირების ხელოვნებას, მეცნიერებასა და ტექნიკას/მეთოდებს. ის მხედველობაში იღებს როგორც გამოყენებით (სტრუქტურის სტაბილურობა და შენობის ფუნქციურ - ეკონომიკური ეფექტიანობა), ასევე ესთეტიკურ მიზნებს. ქალაქდაგეგმარება შეისწავლის ქალაქის რეგულირებულ ზრდასა და გაუმჯობესებას, როგორც ფუნქციური ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით."

4. მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამის საფუძველზე მომზადდებიან კადრები აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების მიმართულებით, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად სხვადასხვა სირთულისა და ტიპის სამუშაოს შესრულებას.

5. დაშვების წინაპირობა

- სრული ზოგადი განათლება
- საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

6. დასაქმების შესაძლებლობები

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირი შესაძლოა დასაქმდეს საჯარო რეესტრში, თავდაცვის სამინისტროსა და სხვა ძალოვან სტრუქტურებში, ასევე - სახელმწიფო ორგანიზაციებში, სამშენებლო და საამზომვლო კომპანიებში ტოპოგეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების შესასრულებლად შემდეგ პოზიციებზე: ამზომველ-გეოდეზისტი, კარტოგრაფი, ჰიდროგრაფიული ამგეგმავი, ტოპოგრაფი, მიწის მზომელი, საკადასტრო აზომვების სპეციალისტი.

ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 71.1; 71.11; 71.11.0

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 2165

7. სტრუქტურა და მოდულები

პროფესიული პროგრამა „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ ითვალისწინებს **5** ზოგადი მოდულს - ჯამური **15** კრედიტის მოცულობით და **15** პროფესიულ მოდულს ჯამური **75** კრედიტის მოცულობით.

აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს **90** კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 90 კრედიტი

- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 19 თვე [1]

პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა არაქარუთლენოვანი სტუდენტებისთვის - 24 თვე

№	მოდულის დასახელება	
01	ქართული ენა A2	15
02	ქართული ენა B1	15
ჯამში		**30**

ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	მეწარმეობა 2	2
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
5	უცხოური ენა	5
სულ:		**15**

[1] პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
6	გაცნობითი პრაქტიკა - ამზომველ-ტოპოგრაფისთვის	1
7	გეოდეზიის საფუძვლები	5
8	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშოს შესრულებისას	2
9	ამზომველ-ტოპოგრაფის ხელსაწყოების ტექნიკური ექსპლოატაცია	9
10	საინჟინრო კომპიუტერულ გრაფიკულ პროგრამაში (ArcGIS) მუშაობა	5
11	საინჟინრო კომპიუტერულ გრაფიკულ პოგრამაში (AUTOCAD) მუშაობა	5
12	საველე ტოპოგრაფიული აგეგმვები	10
13	გეოდეზიური ქსელის შექმნა	8
14	დაკვალვითი სამუშაოების შესრულება	5
15	გეომორფოლოგიური აგეგმვა	3
16	დარგობრივი ინგლისური ენა ამზომველ ტოპოგრაფისთვის	5
17	საკადასტრო აზომვების შესრულება	3
18	პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის	8
19	არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები -1	3
20	ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია ტოპოგრაფ-ამზომველისთვის	3
სულ:		75

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 8 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 15 პროფესიულ მოდულს ჯამური 75 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 113 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 113 კრედიტი;
ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 24 თვე [1]
ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 143 კრედიტი;
ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 29 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
01 ქართული ენა A2	15
02 ქართული ენა B1	15
	30

ინტეგრირებული მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
1	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2	მათემატიკური წიგნიერება	7
3	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4	მოქალაქეობა	6
5	სპორტი	2
6	ესთეტიკა	1
		30

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		კრედიტი
1	უცხოური ენა	5
2	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
		8

პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - ამზომველ-ტოპოგრაფისთვის	1
2.	გეოდეზიის საფუძვლები	5
3.	შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა ამზომველ-ტოპოგრაფის სამუშოს შესრულებისას	2
4.	ამზომველ-ტოპოგრაფის ხელსაწყოების ტექნიკური ექსპლოატაცია	9
5.	საინჟინრო კომპიუტერულ გრაფიკულ პროგრამაში (ArcGIS) მუშაობა	5
6.	საინჟინრო კომპიუტერულ გრაფიკულ პოგრამაში (AUTOCAD) მუშაობა	5
7.	საველე ტოპოგრაფიული აგეგმვები	10
8.	გეოდეზიური ქსელის შექმნა	8
9.	დაკვალვითი სამუშაოების შესრულება	5
10.	გეომორფოლოგიური აგეგმვა	3

11.	დარგობრივი ინგლისური ენა ამზომველ ტოპოგრაფისთვის	5
12.	საკადასტრო აზომვების შესრულება	3
13.	პრაქტიკული პროექტი ამზომველ-ტოპოგრაფისთვის	8
14.	არქიტექტურული გრაფიკა და დაპროექტების საწყისები -1	3
15.	ობიექტის ფოტოვიზუალიზაცია ტოპოგრაფ-ამზომველისთვის	3
სულ:		**75**

[1] **პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.**

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მოახდინოს კომუნიკაციების აგეგმვა
2. შეადგინოს ორთოფოტო გეგმა
3. შექმნას საყრდენი და სიმაღლური გეოდეზიური ქსელი
4. მოახდინოს გეომორფოლოგიური აგეგმვა
5. შეასრულოს დაკვალვითი სამუშაოები
6. შეასრულოს საკადასტრო აზომვები.

9. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;

ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (მშობლიურ

ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

10. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

11. პეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება / Survey-Topography (სარეგისტრაციო ნომერი 07319-პ) საფუძველზე.

13. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პროგრამა განხორციელდება ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ✓ ადაპტირებული მოდულები;
- ✓ სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;
- ✓ პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- ✓ პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები **მარიამ გაგოშაშვილი**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი **შოთა მარგიშვილი**

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი **მანანა მოისწრაფიშვილი**